

მწვანე ალტერნატივას კომენტარები
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს მიერ
გამოქვეყნებულ კანონპროექტზე
„საქართველოს ტყის კოდექსი“

(2018 წლის 24 იანვრის ვერსიაზე)

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

„საქართველოს ტყის კოდექსი“ უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც განსაზღვრავს, როგორ იმართოს ქვეყნის ტერიტორიის 40% მომავალი წლების განმავლობაში. საქართველოს ტყით დაფარული ნაწილზე დამოკიდებულია მთელი ქვეყნის უზრუნველყოფა სასიცოცხლო რესურსებით - ეკოსისტემური სერვისებით. ამაში არა მხოლოდ მოსახლეობის შეშითა და სამასალე მერქნით უზრუნველყოფა, არამედ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაც (სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, კომუნალური სექტორი, ტურიზმი, რეკრეაცია და სხვ.) იგულისხმება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ტყის ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა კლიმატისა და წყლის ხარისხის რეგულაცია, მიწის ნაყოფიერება, სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა და პრევენცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვ.

უნდა აღინიშნოს „ტყის კოდექსი“ პროექტით შემოთავაზებული მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტყის მმართველობის გაუმჯობესებასა და მდგრად მართვას.

პირველ რიგში, ასეთ საკითხებს განეკუთვნება ტყის კატეგორიზაცია. ეს მნიშვნელოვანი საკითხი კანონპროექტის პირველივე ვერსიაშიც იყო ასახული. როგორც ადრეც აღვნიშნავდით, კანონპროექტში, მოცემული კატეგორიზაციის სისტემა მეტწილად შეესაბამება „ევროპის ტყეების“¹ კლასიფიკაციას, რომლის თანახმადაც, ტყეები დაჯგუფებული არიან მათი მართვის ძირითადი ამოცანის შესაბამისად. ამ სიახლის დანერგვა სატყეო სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მთლიანად შეესაბამება ტყის მდგრადი მართვისა და

¹ „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით („ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება“) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია. MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას.

ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ მიზნებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის: „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციას“² და „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“³-ს, „ევროპის ტყეების“ ინიციატივებსა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებებს⁴. ეს უდავოდ პროგრესული და გადაწყვეტილებაა, რადგან დღეს არსებული კატეგორიზაციის სისტემა (1999 წლის ტყის კოდექსი და მისი კანონქვემდებარე აქტები) ძალზე არაეფექტურია, რაც ხელს უშლის ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და რესურსების გონივრულ გამოყენებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში კვლავ რჩება ხელშესახები ხარვეზები: არ ჩანს კანონპროექტის საწყის ნაწილში მოცემული ტყეების კატეგორიზაციის კავშირი კოდექსის მომდევნო ნაწილებში მოცემულ რეგულაციებთან, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, კი წინააღმდეგობაშიც მოდიან. აუცილებელია კანონპროექტის ბოლო თავების კატეგორიზაციის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა. აუცილებელია მიგვაჩნია, რომ კანონში უფრო მეტი სიცხადე იქნას შეტანილი აღნიშნული კატეგორიზაციის შინაარსისა და პრინციპების შესახებ. ამისათვის, სასურველია, რომ ნახსენები იქნას, რომ საქართველოს ტყეების კატეგორიზაცია განხორციელდება „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციის/კლასების გათვალისწინებით - ისევე როგორც მინიშნებულია სხვადასხვა გარემოსდაცვით კანონში, რომ დაცული ტერიტორიების დაარსება და/ან სახეობებისათვის საფრთხის სტატუსის მინიჭება ხდება IUCN-ის კრიტერიუმების შესაბამისად. იგივე უნდა აღინიშნოს კანონპროექტის განმარტებით ბარათშიც.

- შემდეგი სიახლე ეხება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ტყის მართვას. წინამდებარე პროექტის თანახმად, ტყეების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებებიდან გადავა დელეგირებულ უფლებებში (რასაც დასჭირდება ცვლილებების შეტანა ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“). როგორც ჩანს, ტყის კოდექსის მესამე გამოქვეყნებულ პროექტში გათვალისწინებულია ჩვენი რეკომენდაცია, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს მოვამზადეთ და ტყის კოდექსის პროექტის კომენტარებისა და საჯარო განხილვევის დროსაც წარმოვადგინეთ. ამ სიახლის შედეგად, თვითმმართველობების მიერ მართულ ტყეებში კანონდარღვლებისა და კონტროლის უფრო გამართული სისტემა ჩამოყალიბდება, შესაძლებელი გახდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ტყეების მართვისა და დაცვის ერთიანი პოლიტიკა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარემოს დაცვის სამინისტრო (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური) მოკლებული იქნება შესაძლებლობას, რომ ზედამხედველობა გაუწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ ტყეებს.
- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის ამ რედაქციაში გაჩნდა სპეციალური თავი, რომელიც ეხება მეტყვეისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სოციალურ დაცვას. ამგვარი რეკომენდაცია ჩვენმა ორგანიზაციამ პირველი პროექტის საჯარო განხილვის ეტაპზე გამოთქვა და ეს რეკომენდაცია ამჯერად გათვალისწინებულია. გარკვეულწილად ეს მუხლები შემდგომ დახვეწას მოითხოვს, თუმცა პრინციპულად მისაღები და მისასაღმებელია.

² საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-III, 11.12.2013

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014

⁴ ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა

- ასევე მნიშვნელოვანია, რომ კოდექსით დადგენილია რომ ტყის მართვის ორგანოს ვადლებულება, უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყვევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა. განსაზღვრულია მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ეს მუხლებიც შემდგომ დახვეწას მოითხოვს, თუმცა პრინციპულად მისაღებია.
- კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით (საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტა, ტყის მართვის გეგმის დამტკიცება, ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭება), რაც მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები გაუმჯობესებულია. თუმცა კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, სადაც საზოგადოების ინფორმირების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და შესაბამისად, კორუფციის აღმოფხვრის მექანიზმები დასაწერგია (ტყის სტატუსის მინიჭება, ტყის სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება).
- კანონპროექტში კვლავ რჩება მწვანე და პრობლემატური საკითხები, როგორებიცაა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობასთან, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კანონმდებლობასთან, დაცული ტერიტორიების კანონმდებლობასთან კავშირი; ტყის მართვის ორგანოს სამართლებრივი ფორმა; ტყეების ფიზიკური დაცვა (მეტყვევის აღჭურვილობა-შეიარაღება და მისი გამოყენების წესი); საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას. თუმცა ეს საკითხები შესაძლებელია შედარებით მარტივად მოწესრიგდეს დისკუსიის დროს წარმოდგენილ კანონპროექტში გარეული ცვლილებების შეტანით, ვინაიდან ასეთი ცვლილებების შეტანის საფუძველი ჩადებულია როგორც ამ განსახილველ დოკუმენტში, ისე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მთავრობის დადგენილება N242 „ტყის სარგებლობის წესის შესახებ“). ასევე, ამ ცვლილებების საჭიროების დასაბუთება შესაძლებელია ბოლო პერიოდში ტყის მართვის კონკრეტული საკითხების/პრობლემების განხილვისა და გაანალიზების შედეგად.
- ცალკე პრობლემას წარმოადგენს, რომ კანონპროექტში დარჩენილია საბჭოთა მეტყვეობის პერიოდიდან შემორჩენილი განსაზღვრებები, მიდგომები და მართვის სტილი, რომლებიც აშკარად წინააღმდეგობაში მოდის კანონპროექტის ისეთ პროგრესულ ნაწილებთან, როგორიცაა ტყის განსაზღვრა, ტყის კატეგორიებად დაყოფა, ტყის მდგრადი მართვის პრონციპების შემოღება და სხვა. ასეთ საბჭოთა ანაქრონიზმებად უნდა ჩაითვალოს ე.წ. лесостроительство (ტყეთმოწყობა), პირწმინდა ჭრები ბუნებრივ, რელიქტურ ტყეებში, „ტყის სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“ და ა.შ.).
- ერთ-ერთი მთავარ პრობლემურს საკითხს ტყის მართვის ორგანოს სამართლებრივი ფორმა წარმოადგენს. არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არის სახელმწიფო შპს კარგი ფორმა სახელმწიფო ტყის სამართავად. ერთადერთი არგუმენტი, რაც აქამდე გვსმენია ამ ფორმის სასარგებლოდ არის ის, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს ექნება სატყეო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის უფლება. თუმცა, მიმდინარე წელს „ტყის სარგებლობის წესის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში (N242) შეტანილი ცვლილებების თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს

პრაქტიკულად ყველანაირი სამეურნეო და კომერციული საქმიანობის უფლება მიენიჭა. წარმოდგენილი მართვის ფორმა ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“ და შეიცავს ინტერესთა კონფლიქტებს: ტყის მართვის ორგანო ერთდროულად ახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, კანონდარღვლებას, კონტროლსა და სანებართვო დოკუმენტაციის გაცემას. ამავდროულად არ არის ნათელი, რომელი უწყება ახორციელებს ტყის მართვის ორგანოზე ზედამხედველობას. მართვის ასეთმა სტილმა შესაძლოა დაგვამზადოს შევარდნამის პერიოდის ეპოქაში, როდესაც სატყეო დეპარტამენტი ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული უწყება იყო.

უფრო დაწვრილებით შენიშვნებსა და კომენტარებს წარმოვადგენთ მუხლების მიხედვით.

მუხლობრივი შენიშვნები

1. მუხლი 1.2. მოცემულია:

„ბ) თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება“.

კომენტარი:

ბ) ამოსაღებია სიტყვა „მცენარეთა“, რადგან კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები სხვა დიდი ტაქსონომიური ერთეულების (სოკოები, ცხოველები) სახეობების დაცვასაც უზრუნველყოფს

2. მუხლი 2. ტერმინების განმარტებები არ არის დალაგებული ანბანის მიხედვით;

3. მუხლი 2. მოცემულია:

„ა.ა) ტყეს ასევე მიეკუთვნება: ა. ტერიტორიები, სადაც ტყის შემქმნელი სახეობები ბუნებრივი ან/და ანთროპოგენური მოვლენების შედეგად დროებით დეგრადირებული ან განადგურებულია;“

უნდა იყოს:

ა.ა) ტყეს ასევე მიეკუთვნება: ა. ტერიტორიები, სადაც ტყის შემქმნელი სახეობები სტიქიური ბუნებრივი მოვლენების ან/და ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დროებით დეგრადირებული ან განადგურებულია;

4. მუხლი 2. მოცემულია:

„გ.ა. მიწები, რომლებიც გამოიყენება სათიბებად და სამოვრებად;“

უნდა იყოს:

გ.ა. „ბუნებრივი სათიბ-სამოვრები“ - ტერმინი, რომელიც მოცემულია „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში“.

5. მუხლი 2. „ე) ტყის მონიტორინგი“ - განმარტება დახვეწას და დაკონკრეტებას მოითხოვს.

6. მუხლი 2. „ვ) ტყეთმოწყობა“ - კვლავ მოცემულია საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი განმარტება, პრაქტიკული (მართვის) თვალსაზრისით არაფერს არ განსაზღვრავს. საერთოდ, ეს ტერმინი და

მიდგომა მხოლოდ საბჭოთა სივრცეში გამოიყენებოდა და გამოიყენება. სამწუხაროდ, ამ ფორმით კოდექსის მიღებით კვლავ ვაპირებთ, რომ საბჭოთა სივრცის ნაწილად დავრჩეთ და გავაგრძელოთ ტყის მართვა იმ მეთოდებით, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს მდგრად მართვასთან და ეკოსისტემურ მიდგომასთან.

7. მუხლი 2. მოცემულია:

„უ) ტყის მავნებელ-დაავადებები - მავნე ორგანიზმი, როგორცაა მწერი, მღრღნელი, სოკო, ბაქტერია ან ვირუსი, რომელთა რაოდენობის მომატებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტყის ეკოლოგიურ მდგომარეობას ან არსებითად შეამციროს მერქნის ხარისხი;“

უნდა იყოს:

„რომელთა რაოდენობის მომატებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტყის ეკოლოგიურ მდგომარეობას ან არსებითად შეამციროს ბიომრავალფეროვნება“

განმარტება: „მერქნის ხარისხზე“ აპელირება არასწორია, საბჭოთა მიდგომას მოგვაგონებს. ასეთი განმარტებების გამო ჩნდება ხოლმე, მაგალითად ასეთი დილემა: მუხის დიდი ხარაბუზა (*Cerambyx cerdo*) მავნებელია თუ საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა? ბერნის კონვენციით დაცულ ამ სახეობას მეტყვევები მავნებლად მიიჩნევენ იმ საბაბით, რომ მერქნის ხარისხს აუარესებს და საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ქიმიური საშუალებებით ებრძოდნენ.

8. მუხლი 2. სასურველია, რომ ტერმინების განმარტებას დაემატოს კანონპროექტის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „ეკოსისტემური სერვისები“. ეს ტერმინი უკვე დამკვიდრდა საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის ნორმატიულ აქტებში და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში (მაგ. ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა). რადგან სახელმწიფო (სამინისტრო) თავის პრიორიტეტად აღიარებს მწვანე ეკონომიკის განვითარებას, მაშინ შესაბამისი ტერმინოლოგია და მართვის ფორმები ასახული უნდა იქნას მწვანე ეკონომიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის კანონმდებლობაში, როგორცაა სატყეო სექტორი. უნდა აღნიშნოს რომ ამ ტერმინის განმარტება მოცემულია ნორმატიულ აქტში, მინისტრის ბრძანებაში (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანება “დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ”).

„ა) ეკოსისტემური სერვისები - ადამიანთა კეთილდღეობის საქმეში ეკოსისტემების მიერ შეტანილი პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი, რომელიც იყოფა ოთხ კატეგორიად: უზრუნველმყოფი, მარეგულირებელი, ჰაბიტატის ანუ დამხმარე და კულტურული;

ა.ა) უზრუნველმყოფი სერვისები მოიცავს იმ პროდუქტებს, რომლებსაც უშუალოდ ეკოსისტემა გვთავაზობს. კონკრეტულად, ესაა ისეთი ბუნებრივი პროდუქტები, როგორებიცაა ველური ხილი, თხილი, კენკრა, სოკო, საკვები ბალახეული და სხვა მცენარეული პროდუქტი, რაც სოფლის მოსახლეობის არსებობისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყაროა. უზრუნველმყოფ სერვისებს განეკუთვნება საშეშე და სამასალე მერქანი, საკვებად გამოყენებული ფაუნის სახეობები, თევზის ჩათვლით, წყალი, როგორც ენერგორესურსი, სასმელი და სარწყავი წყალი და ა.შ;

ა.ბ) მარეგულირებელი სერვისები გულისხმობს სარგებლს, რომელიც მიიღება ორგანიზმსა და გარემოს შორის მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების რეგულირების შედეგად. მაგალითად, საქართველოში ტყის ეკოსისტემები გადამწყვეტ როლს ასრულებს ნიადაგის სტაბილიზაციაში, აგრეთვე ისეთი საშიში ბუნებრივი მოვლენების პრევენციასა და შესუსტებაში, როგორებიცაა მეწყერი, ნიადაგის ჩამოშლა, წყალდიდობა და სხვ.;

ა.გ) ჰაბიტატის / დამხმარე სერვისები პირდაპირ არის დაკავშირებული სახეობათა საბინადრო გარემოსთან, ანუ ჰაბიტატთან. ეკოსისტემები ემსახურება სახეობებს, რადგან წარმოადგენს მათთვის თავშესაფარს და სამიგრაციო გზას. მაგალითად, მდინარე არის თევზის საბინადრო გარემო, ასევე დამაკავშირებელი (სამიგრაციო გზა) მდინარის სხვადასხვა მონაკვეთს, ან სხვადასხვა წყალსატევს შორის (ტბა-მდინარე; მდინარე-ზღვა-მდინარე). დამხმარე სერვისებიდან ადამიანი არ იღებს პირდაპირ სარგებელს. ამ სერვისებიდან პირდაპირ სარგებელს იღებს ველური სახეობები, რომლებიც თავისთავად ეკოსისტემის ნაწილსაც წარმოადგენს;

ა.დ) კულტურული სერვისები მოიცავს არამატერიალურ სარგებელს, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემებისაგან. მაგალითად, კულტურული სერვისების სახეობაა ტურიზმი, განსაკუთრებით, ეკოტურიზმი.“

ტყის კოდექსში ამ ტერმინის განმარტება მას უფრო მეტ აღიარებას მიანიჭებს და რაც მხოლოდ წაადგება საზოგადოებისა და გადაწყვეტილებების მიმღებების ცნობიერების ამაღლებას და მდგრადი მართვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას შეუწყობს ხელს.

9. მუხლი 3. მოცემულია:

„2. ტყეში სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის, აგრეთვე გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და სარგებლის სამართლიანი განაწილების საკითხები წესრიგდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, თუკი ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

გასაგებია, რომ იგულისხმება ბიომრავალფეროვნების ახალი კანონი, მაგრამ ეს ფორმულირება არაზუსტია და უნდა შეიცვალოს. ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვას უზრუნველყოფს არაერთი კანონი და შეთანხმება, მათ შორის წინამდებარე ტყის კოდექსი.

10. მუხლი 3. მოცემულია:

„3. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს ეს კოდექსი, თუ კი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

ეს არის საკმაოდ საშიში და ორაზროვანი ფორმულირება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კანონპროექტი, ისევე როგორც 1999 წლის კოდექსი, იჭრება დაცული ტერიტორიების რეგულირების საკითხებში, რის შედეგადაც გაგრძელდება ბიომრავალფეროვნების დეგრადაციისა და ეკოსისტემების არამდგრადი მართვის ტენდენცია. ასეთი ჩანაწერის მეშვეობით ხდება დაცული ტერიტორიებისათვის შეუფერებელი სხვადასხვა საქმიანობის „ლეგალიზაცია“. გაგრძელდება არსებული ტენდენცია, რომლითაც დაცული ტერიტორიების მართვა გათანაბრებულია სამეურნეო ტყის მართვასთან - განსაკუთრებით ე.წ. „სპეციალური (ახალი რედაქციით - განსაკუთრებული) დანიშნულებით სარგებლობის“ საკითხებთან მიმართებაში. ასეთი ჩანაწერის

შედეგად ხდება, რომ „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულებით (N242) სარგებლობენ დაცულ ტერიტორიებში ჰესების, გადამცემი ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის დროს - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ასეთ ქმედებებს კრძალავს. ჩვენის აზრით, ეს არის კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაცია. თუმცა კონკრეტული შემთხვევების განხილვისას, ამ ჩვენს მოსაზრებას არა მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტრო, არამედ სასამართლოც არ ეთანხმება და კანონთან შეუსაბამობას ვერ ხედავს. ამ სიტუაციიდან კი გამოსავალი ის არის, რომ ახალ ტყის კოდექსში მსგავსი ჩანაწერი აღარ განმეორდეს.

11. მუხლი 3. კანონპროექტში აღნიშნულია:

„4. თუ კი ტყითსარგებლობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ის უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნათა დაცვით. (მომდინარეობს მუშაობა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის (მათ შორის წიაღის მოპოვების) გზშ-სთვის დაქვემდებარების საკითხზე. მუშავდება შესაბამისი ცვლილებების პროექტი)“

დღეისათვის ტყის ეკოსისტემებისათვის ყველაზე მწვავე საფრთხეს და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა წიაღის მრეწველობა და ინფრასტრუქტურული პროექტები, რასაც ამ კანონპროექტში „განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა“ ეწოდება. ეს პრობლემა გამწვავდა 2010 წლიდან, როდესაც ტყის კოდექსში შევიდა ყოვლად გაუმართლებელი ცვლილებები. შეუძლებელია, რომ მომავალშიც ითვლებოდეს „ტყითსარგებლობად“ ჰესების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირება, მშენებლობა და რეკონსტრუქცია (რეაბილიტაცია), წიაღის შესწავლა-მოპოვება. თუმცა, წინამდებარე კანონპროექტში, ისევე როგორც მთავრობის 242-ე დადგენილებაში მიმდინარე წელს განხორციელებულ ცვლილებაში, ჩანს არსებული სიტუაციის გამოსწორებისა და ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების კონტურები. კერძოდ, ამგვარ საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის დგინდება აჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი (მუხლი 67), რაც შეესაბამება ორჰუსის კონვენციას, ასევე ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთანავე, ცალკეულ მუხლებში მაინც შემორჩენილია წინააღმდეგობრივი ფორმულირებები და საჭიროა მათი შეცვლა (იხ. ქვემოთ).

12. მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები. ასეთი მუხლის არსებობა ძალზე კარგია, თუმცა გაკვირვებას იწვევს, რომ ასე მოკრძალებულად არის წარმოდგენილი კანონპროექტში „ტყის მდგრადი მართვის პრინციპები“. როგორც ვიცით, ამ მიმართულებით მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ ვალდებულებასაც წარმოადგენს. სინამდვილეში, კი საკითხი კანონპროექტში იმდენად არასრულყოფილიადაა წარმოდგენილი, რომ მხოლოდ სიმბოლური/ფორმალური დატვირთვა აქვს. ეს პრინციპები უფრო ვრცლად უნდა იყოს წარმოდგენილი ამ მუხლში და თანაც ინტეგრირებული მთელ კანონპროექტში. სულ მცირე, ამ მუხლის ბოლოს უნდა იყოს პუნქტი, რომლის თანახმადაც გამოიცემა მთავრობის დადგენილება „ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დამტკიცების შესახებ“, რითაც ეს პრინციპები სავალდებულო და არა სარეკომენდაციო იქნება.

13. მუხლი 7. ტყის კატეგორიებად დაყოფა. აუცილებელია, ამ მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს წინადადება, რომ საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფა და მართვა ხდება ევროპის ტყეების

დაცვის მინისტრთა კონფერენციის (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით („ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება“) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაციის შესაბამისად. ამით გარკვეულწილად დაზუსტებული იქნება მთავრობის დადგენილების ძირითადი პრინციპები. არ არის აუცილებელი, რომ კოდექსის 100% სიზუსტით იმეორებდეს MCPFE კატეგორიებს, ისევე როგორც ეროვნული წითელი ნუსხის კატეგორიები არ იმეორებენ სიტვა-სიტყვით IUCN კატეგორიებს.

14. გაუგებარია, რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ტყეები, რომლებსაც აქვთ უაღრესად დიდი მნიშვნელობა რელიგიური და/ან კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის (მაგ. ხატის ტყეები, რელიგიურ კონფესიებზე გადაცემული ტყეები). ჩვენის აზრით, უფრო მარჯვე იქნებოდა, რომ მე-10 მუხლით განსაზღვრული კატეგორიის დასახელება ყოფილიყო „კულტურული და სარეკრეაციო დანიშნულების ტყე“ და ზემოხსენებული ტყეები (ხატის ტყეები, რელიგიური კონფესიების კუთვნილი ტყეები) ამ კატეგორიას მიკუთვნებულიყო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეკოსისტემის კულტურული სერვისები მოიცავენ ეკოსისტემების ისეთ ღირებულებებს, როგორცაა ტურიზმი, რეკრეაცია, რელიგიური და სულიერი ფასეულობები.

15. მუხლი 8. მოცემულია:

„1. დაცულ ტყეს მიეკუთვნება: ა) ტყე, რომელსაც მინიჭებული აქვს დაცული ტერიტორიის სტატუსი. მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების კანონმდებლობისა და მენეჯმენტის გეგმების შესაბამისად;“

უნდა იყოს (როგორც იყო ადრე გამოქვეყნებულ ვარიანტებში):

ა) ტყე, რომელიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებში: ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები. მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების კანონმდებლობისა და მენეჯმენტის გეგმების შესაბამისად;

დასაბუთება: დაცული ლანდშაფტების და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების მართვის მიზანი შეესაბამება კანონპროექტის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ამოცანებს.

16. ამავე მე-8 მუხლიდან ამოღებულია შემდეგი ქვეკატეგორია: „ბ) ტყე, სადაც აღინიშნება ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაცია გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე (ქვეყნის კანონმდებლობით დაცული და „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ან/და ერთზე მეტი ენდემური სახეობა). მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური ჩარევა;“. გაუგებარია, რა მიზნით მოხდა ამოღება, მაგრამ ამის შედეგად გარკვეული ხარვეზები წარმოიშვა.

შეიძლება სახეობა არ იყოს არც ენდემი არც რელიქტი, მაგრამ კონსერვაციული სტატუსი ჰქონდეს გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე, დაცული იყოს ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. შესაძლებელია, რომ კონსერვაციისთვის საჭირო იყოს მინიმალური ჩარევა (დაცვა) და არა აქტიური მენეჯმენტი (ადდგენის ღონისძიებები, მკურნალობა და სხვ.). ამიტომ, კარგი იქნება გამოყენებული იქნას ასეთი ფორმულირება:

„ბ) ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ჭალისა და არიდული ტყეები, აგრეთვე ტყე, რომელიც მოიცავს ენდემურ ან /და რელიქტურ სახეობებს და/ან ტყე, რომელიც მოიცავს გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე დაცულ სახეობებს, ჰაბიტატებსა და ეკოსისტემებს.

მართვისას, მინიმალური ჩარევით, ან საჭიროების შემთხვევაში აქტიური მენეჯმენტით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონსერვაცია;“

17. კანონპროექტის საჯარო განხილვის დროს დაბნეულობა გამოიწვია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვებმა „პირველი კატეგორიის“ და მე-3 პუნქტში სიტყვებმა „მეორე კატეგორიის“. შეიძლება მკითხველისთვის მართლაც დამაბნეველი იყოს, „კატეგორია დაცული ტყეები“ და იმის შიგნითაც დაყოფის ერთეულს რომ „კატეგორია“ ეწოდება და ამან შემდგომი განხილვების დროსაც დაბადოს კითხვები. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, რომ ეს სიტყვები ან საერთოდ ამოღებული იქნას (არაფერი არ შეიცვლება ამით მართვის თვალსაზრისით), ან დაიწეროს შესაბამისად „პირველი ქვე-კატეგორიის“ და „მეორე ქვე-კატეგორიის“.

18. მუხლი 9. სხვა კატეგორიებისგან განსხვავებით, ამ მუხლში მექანიკურად არის გამორჩენილი დაცვითი კატეგორიის ტყის მართვის მთავარი ამოცანა (სხვა კატეგორიის ტყეებთან მიმართებაში ეს საკითხი განსაზღვრულია). გთავაზობთ აღნიშნულ მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:

3. „დაცვითი ტყეების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა/ღონისძიება, რომელიც უარყოფითად აისახება ნიადაგისა და წყლის ხარისზე და სხვა მარეგულირებელ ეკოსისტემურ სერვისებზე, ან/და შესაძლოა შეასუსტოს ტყეების უნარი მოახდინოს დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი კატასტროფებისაგან პრევენცია. საჭიროების შემთხვევაში, დაცვითი ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა და/ან დაცვა აქტიური მენეჯმენტის გზით“.

19. მუხლი 10. 1-ლი მუხლი. დაემატოს შემდეგი შინაარსის დ) ქვეპუნქტი: „დაცულ ლანდშაფტების (IUCN-ის V კატეგორია) ფარგლებში არსებული ტყეები“.

20. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ქვეპუნქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ კატეგორიის ტყეების მართვის ამოცანას და ფუნქციას და დაგვეხმარებიან შემდგომში, კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტის შემუშავებისას:

- 3. შეიძლება აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა (ან დაწესდეს სხვა შეზღუდვები), თუ ეს შეუთავსებელია კონკრეტული ტერიტორიის მართვის მიზანთან (მაგალითად: ბუნების ძეგლი, ხატის ტყეები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით გამოყოფილი ტერიტორიები და სხვ.).
- 4. დაშვებულია განახლებადი რესურსების გამოყენება მხოლოდ ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ისეთი მოცულობითა და ფორმით, რომ არ მოახდინოს ეკოსისტემის/ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის არსებითი ცვლილება და გულისხმობს მხოლოდ ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ ფორმებს.

21. მუხლი 12. ტყის სტატუსის მინიჭებისას, გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღინიშნოს, რომ „ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის მიერ მომზადებული საკითხი დამტკიცებამდე განხილული უნდა იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წესით.“

22. მუხლი 20. ბ) ქვეპუნქტს დაემატოს წინადადება: „მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების შექმნა“.

23. მუხლი 21. ტყის მართვის ორგანო.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი. არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არის სახელმწიფო შპს კარგი ფორმა სახელმწიფო ტყის სამართავად. ერთადერთი არგუმენტი, რაც აქამდე გვსმენია ამ ფორმის სასარგებლოდ არის ის, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს ექნება სატყეო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის უფლება. აღნიშნული იყო, რომ ეროვნული სატყეო სააგენტო ვერ ახერხებდა ამას, რადგან ამაში ხელს უშლიდა ახლანდელი სამართლებრივი ფორმა - სსიპ. თუმცა, მიმდინარე წელს „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში (N242) შეტანილი ცვლილებების თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პრაქტიკულად ყველანაირი სამეურნეო და კომერციული საქმიანობის უფლება მიენიჭა. თუ არის რამე საკითხი, რომელსაც ხელს უშლის ორგანიზაციული ფორმა „სსიპ“ მაშინ შესაძლებელია ან ცვლილება შევიდეს სსიპ-ების მარეგულირებელ კანონში, ან ტყის კოდექსში ჩაიდოს ის ცვლილებები, რომელიც საქმიანობისას ხელს უშლის ახლანდელ სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ფორმა შესაძლებელია შეიცავდეს ინტერესთა კონფლიქტს და ამავდროულად ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“: ტყის მართვის ორგანო ახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, კანონდარსებებს, კონტროლსა და სანებართვო დოკუმენტაციის გაცემასაც. ანუ არ არის ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული სამეურნეო, პოლიტიკის განმსაზღვრელი და საზედამხებდველო ფუნქციები. არ არის ნათელი, რომელი უწყება ახორციელებს ტყის მართვის ორგანოს ზედამხედველობას და მონიტორინგს.

შპს-ს ფორმა რამდენიმე სერიოზულ რისკს შეიცავს:

შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ შპს არ არის მომგებიანი (როგორც წესი სახელმწიფო საწარმოები არ არის მომგებიანი). ამის შედეგად, დადება დღის წესრიგში შემდეგი საკითხები: სახელმწიფო შპს-ს საერთოდ გაუქმება; სახელმწიფო შპს-ს პრივატიზება; მოგების გაზრდის მიზნით ჭრის გეგმების გაზრდა კონსერვაციული და დაცვითი დანიშნულების ტყეების ხარჯზე და ა.შ.

24. თავი III აღრიცხვა და დაგეგმვა - მუხლები 25, 26.

ეს თავი საერთოდ ამოვარდნილია კონტექსტიდან და საბჭოთა მეტყვეობის სახელმძღვანელოდან ამოკრეფილ ტექსტებს უფრო ჰგავს, ვიდრე ტყის მდგრადი პრინციპებზე და ეკოსისტემურ მიდგომაზე დაფუძნებულ კანონს. პრაქტიკულად არ ჩანს მიმართება ტყის კატეგორიზაციასთან; პრაქტიკულად არ ჩანს, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ეროვნული ინვენტარიზაცია და რომ ამ ინვენტარიზაციის მასალები გამოყენებული იქნება. საერთოდ არ ჩანს, რა თანამიმდევრობა და დამოკიდებულება იქნება ისეთ ქმედებებს შორის, როგორცა ტყეების კატეგორიზება დაყოფა, ეროვნული ინვენტარიზაცია, ე.წ. „ტყეთმოწყობა“ - რომელი საფეხური რომელს მოსდევს, რამდენ ხანში ერთხელ ტარდება და ა.შ. თუ ეს თავი ასეთი სახით დარჩება კოდექსში, მაშინ ეროვნული ინვენტარიზაციის მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ, მისი შედეგების გამოყენების სამართლებრივი საფუძველის მოძებნა რთული იქნება.

საჭიროა თვალნათლივ განიმარტოს, რომ ტყის კატეგორიზაციასთვის არ არის აუცილებელი ტყეთმოწყობის ჩატარება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული დონის ინვენტარიზაციამ ან

ტყეთმოწყობამ შეიძლება დააზუსტოს არსებული კატეგორიები. წინააღმდეგ შემთხვევაში - თუ მისი მიღებიდან უმოკლეს პერიოდში არ მოხდა კატეგორიზაცია - ამ კოდექსს აზრი ეკარგება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სანამ მთელი ქვეყნის მასშტაბით „ტყეთმოწყობა“ არ ჩატარდება, ტყეები კატეგორიებად ვერ დაიყოფა, მაშინ უნდა ველოდოთ, რომ საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნებას გაჩანაგება ელოდება. უნდა განიმარტოს ერთხელ და საბოლოოდ, რომ არანაირი საბჭოური „ტყეთმოწყობა“ არ ჭირდება ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს და სხვა კონსერვაციული დანიშნულების ტყეებს. სამწუხაროა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის შესამუშავებლად უცხოელი დონორების სახსრები იყო გამოყოფილი, მაინც ძირითადად საბჭოთა მეტყევეობის გამოცდილების მქონე ექსპერტების რჩევით ისარგებლა სამინისტრომ. მით უმეტეს, რომ ეს „გამოცდილება“ ხშირად შევარდნაძის პერიოდის კორუმპირებულ მთავრობასთან ასოცირდება, რომელთა შორისაც კი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს გამორჩეული ადგილი ეკავა.

25. მუხლი 26. ტყეთმოწყობა

ა) „ტყის საზღვრების დადგენა“ - არასწორია, გამოდის, რომ სანამ მთელს ქვეყანაში ეს ტყეთმოწყობა არ ჩატარდება (ამას კი ათეულობით წელი შეიძლება დასჭირდეს) ტყის საზღვრების დადგენა არ მოხდება. ტყის საზღვრების დადგენა ეროვნული ინვენტარიზაციის დროსაც ხდება. ა) პუნქტი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ტყის საზღვრების დაზუსტება“

26. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შესაბამისი კატეგორიის ტყის შიდასამეურნეო ორგანიზება და ამ ტერიტორიებზე კარტოგრაფიული მასალების მომზადება;“ დაცულ ტერიტორიების არც ერთ კატეგორიას არ ესაჭიროება ტყეთმოწყობა იმისათვის, რომ მის შიგნით ზონირება მოხდეს. ეს არის დაცული ტერიტორიების მართვის „საბჭოთა მეტყევეობაზე“ დაფუძნებული გაგება.

27. იგივე უნდა ითქვას 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე - დაცვისა და კონსერვაციისთვის ტრადიციული „ტყეთმოწყობა“ არ არის გამოსადეგი. პირიქით, დაცული ტერიტორიების „ტყეთმოწყობაში“ დახარჯული ფული, უბრალოდ განიავებული სახსრებია (ან წინასწარ გასანიაველად გამიზნული).

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ცუდია, რომ კანონპროექტის შესამუშავებლად მოწვეული ექსპერტები მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას ეყრდნობიან და არა თანამედროვე დასავლურ სატყეო მეცნიერებებსა და მიდგომებს.

28. 26-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ვ) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უზნებისათვის კატეგორიებისა და დაცვის რეჟიმის დაზუსტება და კორექტირება“; - საზღვრების შესახებ უკვე ნათქვამია ა) ქვეპუნქტში.

29. მუხლი 29. ტყის სპეციალური გამოკვლევა

ეს საკითხი - „ტყის სპეციალური გამოკვლევა“ გადმოტანილია 1999 წლის ტყის კოდექსიდან. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ტყის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2, (რომელიც ასე იყო ჩამოყალიბებული: „სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა, სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის შესახებ ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა განხორციელებამდე, დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ

ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმომწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე“) გამოყენებული იქნა ტყეთმომწყობის გარეშე ხანგრძლივადიანი ლიცენზიების გასაცემად. წინამდებარე კანონპროექტის ჩანაწერიც შესაძლებელია ასეთი მანკიერი მიზნებისთვის იქნას გამოყენებული.

მაგალითად, ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა“. რა უშლის ხელს, რომ ეს ჩანაწერი არაკეთილსინდისიერად იქნას გამოყენებული და ამ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ 3-3 წლით, დაუსრულებლად არ გააგრძელონ მერქნის მოპოვება ნებისმიერ სასურველ ადგილას? ამრიგად, ეს მუხლი შეიცავს კორუფციული, კონკრეტული პირების ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღების დიდ საშიშროებას. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ეს სპეციალური გამოკვლევა გამოყენებული იქნას რესურსის მოპოვებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში არასოდეს არ ჩატარდება არც ინვენტარიზაცია და არც ტყეთმომწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ **29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) სპეციალური გამოკვლევა ტარდება მხოლოდ აღდგენა-გაშენებისა და ტყის დაცვის პროექტების შედგენისათვის, ასევე გამონაკლის შემთხვევებში - განსაკუთრებული სარგებლობისათვის.

ბ) ქვეპუნქტი დაერთოდ ამოღებულ უნდა იქნეს.

30. მუხლი 29. ტყის სპეციალური გამოკვლევა

საჭიროა დაემატოს პუნქტი, სადაც აღინიშნება, რომ სპეციალური გამოკვლევის წესი დგინდება კანონქვემდებარე აქტით.

31. მუხლი 37.

კვლავ გაურკვეველი რჩება, თუ როგორ მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგება ისეთი მნიშვნელოვანი ტყის პროდუქტებით/რესურსებით, როგორცაა ჭიგო, სარი, წნელი და სხვ. რომელიც სრულიად აუცილებელია სოფელში მცხოვრები ადამიანებისათვის. არ მიგვაჩნია სწორად, რომ ეს სორტიმენტი გათანაბრებული იყოს სამასალე მერქანთან და მსგავსი პროცედურები იყოს საჭირო მათ მოსაპოვებლად.

32. მუხლი 37.

ამ მუხლის მე-3 პუნქტი კანონპროექტის სხვადასხვა გავრცელებულ რედაქციაში სხვადასხვანაირად არის მოცემული. გაუგებრობის ტავიდან აცილების მიზნით აღვნიშნავთ, რომ 24 იანვარს გავრცელებული ვერსია (წითელი ფერით აღნიშნული დამატების გათვალისწინებით) სავსებით მისაღებია:

„3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის ყველა სახე დასაშვებია სამეურნეო ტყეში. დაცულ ტყეში დაუშვებელია ტყითსარგებლობის განხორციელება, გარდა ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის

მეორეხარისხოვანი მასალების დამზადებისა, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობისა და განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობისა (დაემატოს - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა“ და ამ კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად“). საკურორტო და სარეკრეაციო, აგრეთვე, დაცვით ტყეებში დასაშვებია ტყითსარგებლობის ყველა სახე გარდა სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადებისა.“

33. მუხლი 46. სამეურნეო ჭრა.

ამ მუხლში არსებული რეგულაციები, მთლიანად უგულვებელყოფს ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნებს და საბჭოთა მეტყევეობის ტრადიციებს აგრძელებს. კანონპროექტის თანახმად, პირწმინდა ჭრა დაშვებულია კოლხეთის დაბლობის ტყეებში. კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების რეფუგიუმს, სადაც შემორჩენილია ბოლო გამყინვარებას გადარჩენილი რელიქტები. საბჭოთა პერიოდში დაშვებული პირწმინდა ჭრების შედეგად, ეს უნიკალური ეკოსისტემა ძალზე გადარიბდა და დაიწყო მურყნარით ჩანაცვლება. სამწუხაროა, რომ კანონპროექტის მომზადებისას, არ მოხდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კვლევებსა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების განხილვა და ყოველგვარი ახსნის გარეშე, იგნორირებული იქნა კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნებიც. დღესაც ვხედავთ, რომ ტყის კოდექსის შემუშავებისას პრიორიტეტი მეტყევეების „ტრადიციულ“ მეთოდებს ენიჭება და საერთოდ არ განიხილება ბოტანიკოსებისა და ეკოლოგების თვალსაზრისი. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პირობებში პირწმინდა ჭრა შესაძლებელია დაშვებული იქნას მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **46-ე მუხლის მე-2 პუნქტი** უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. პირწმინდა ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებულ მერქნიან სახეობათა ხეების ერთდროული (პირწმინდა) მოჭრა. პირწმინდა ჭრა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში. აკრძალვას ექვემდებარება პირწმინდა ჭრა, რომელიც:

- ა) მნიშვნელოვნად დააზიანებს ნიადაგის წყლის რეჟიმს;
- ბ) გამოიწვევს ეროზიულ პროცესებს ან გრუნტის გადარეცხვას;
- გ) საფრთხეს შეუქმნის დაცვითი ფუნქციების ეფექტურობას.
- დ) გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად შემცირებას“

საჯარო განხილვისას კანონპროექტის ექსპერტმა დასვა კითხვა, თუ რომელი ჭრა უნდა იქნას გამოყენებული კოლხეთის დაბლობზე, თუ არა პირწმინდა ჭრა. ამ კითხვაზე პასუხი კანონპროექტის ექსპერტებს თავად უნდა მოეძებნათ თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში და არა საბჭოთა ტყის ჭრის წესებში.

34. მუხლი 49.

გაუგებარია, თუ ხე-ტყეს აშზადებს მხოლოდ ტყის მართვის ორგანო, მაშინ რისთვის გაიცემა ხე-ტყის დამზადების ბილეთები ფიზიკურ პირებზე . ეს საკითხი ძალიან ბუნდოვნად არის ამ მუხლში მოცემული.

35. მუხლი 52.

პუნქტი 4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, ამ კოდექსის და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელიც არის სამართლებრივი საფუძველი ტყის ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის.

36. მუხლი 54.

37. თავი XII უნდა აღნიშნული იყოს, რომ პლანტაციური მეურნეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს როგორც მიწათსარგებლობის (საკუთრების), ისე გარემოსდაცვით საკითხებთან.

38. 61-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს თავი ეხება მხოლოდ გარეულ და არა შინაურ ცხოველებს.

39. მუხლი 66. ეს მუხლი ყოველგვარ აზრსა და ლოგიკას მოკლებულია და უნდა ამოღებული იქნას.

40. თავი XV. განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა. ეს ნაწილი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს, რათა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან“. ამ ეტაპზე ეს თავი არათუ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან“, არამედ თავად „ტყის კოდექსის“ პროექტთან მოდის წინააღმდეგობაში.

კერძოდ, კანონპროექტის მე-13 მუხლის (ტყის სტატუსის შეწყვეტა) თანახმად, ტყის სტატუსი საერთოდ წყდება იმ საქმიანობების უმეტესი ნაწილის განხორციელებისას, რომელიც ჩამოთვლილია კანონპროექტის 67-ე მუხლში. მაგალითად, ე.წ. „ჰიდროკვანძების მშენებლობა“⁵ - ამ საქმიანობაში შეიძლება იგულისხმებოდეს ასობით ჰექტარზე ტყის ფართობის გაჩეხვა და მის ადგილზე წყალსაცავის გაკეთება; საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები და წიაღის შესწავლა-მოპოვება ნიშნავს ტყის და ყველა სხვა ეკოსისტემის მთლიან განადგურებას ტყის საფარის მოცილებას, ნიადაგის და მიწის ზედა ფენების მოცილებას ქანებამდე. შესაბამისად, თუ ასეთი საქმიანობებისათვის ტყის სტატუსის შეწყვეტა მოხდება, ვერანაირი ნებართვა განსაკუთრებულ ტყითსარგებლობაზე ვედარ გაიცემა და აღარც იქნება საჭირო.

საერთოდ, ამ თავით განსაზღვრული საქმიანობა უნდა იყოს გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი. შესაბამისად საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იქნება არა ორი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (როგორც ახლა იკითხება), არამედ მხოლოდ ერთი პროცესი. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭირო გახდება ცვლილებების შეტანა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“, მათ შორის სკრინინგის დამატებითი კრიტერიუმების შემოღება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იქნება სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ექსპერტების მონაწილეობით.

ეს თავი ასევე წინააღმდეგობაში მოდის ამ კანონპროექტის 75-ე მუხლთან

⁵ სინამდვილეში ეს ტერმინიც შესაცვლელი და დასაზუსტებელია

41. თავი XVI. ტყის ფართობის იჯარით გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

კანონპროექტის ამ ნაწილით განსაზღვრულია აუქციონების ჩატარება ძალზე გაუმჭირვალე მექანიზმებით. მოქმედი ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებით დადგენილია საკმაოდ კარგი და გამჭვირვალე მექანიზმი და საჭიროა ეს მექანიზმი გადმოვიდეს ახალ კოდექსშიც. საქმე ისაა, რომ საზოგადოების ძირითადი ინტერესია, თუ ტყის რომელ ნაწილზე იქნება დაშვებული ტყითსარგებლობა და რა პირობებით და ნაკლები ინტერესია იმის მიმართ, თუ ვინ მოიპოვებს ამ უფლებას. გაუგებარია, რატომ ხდება ასეთი გაუმჭირვალე მექანიზმების დამკვიდრება ან ჩვენი რეკომენდაციის არგათვალისწინება უკვე მესამე გამოქვეყნებულ კანონპროექტში. სამწუხაროდ, კანონპროექტი გვაბრუნებს 2006-2007 წლებში არსებულ ვითარებამდე, როდესაც სრულიად გაუმჭირვალედ, ძალზე საეჭვო ვითარებაში მოხდა ხე-ტყის დამზადების 20 წლიანი ლიცენზიების გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 69-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 69. მოწესრიგების სფერო

1. ამ კოდექსით დადგენილი სპეციალური სარგებლობის მიზნით სახელმწიფო და მუნიციპალური ტყის ფართობის იჯარით გაცემა ხდება ელექტრონული აუქციონის ჩატარების საფუძველზე.

2. სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანო იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას გრძელვადიანი ტყით სარგებლობისათვის წინასწარ შერჩეული სახელმწიფო ტყის ფართობების ადგილმდებარეობის, მოსაპოვებელი რესურსების რაოდენობის განსაზღვრის და სხვა საიჯარო პირობების შესახებ; აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს ვებგვერდზე. სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას.

3. ელექტრონული აუქციონის საფუძველზე ტყის ფართობის იჯარის წესით გაცემა ხდება იმ პირობით, რომ უფლების მიმღები გადაიხდის იჯარის საფასურს და დაიცავს იჯარის გამცემი პირის მიერ დადგენილ სხვა საიჯარო პირობებს.

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზანია სპეციალური სარგებლობის მიზნით ტყის ფართობი იჯარით გადაეცეს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც იღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში მართვის ორგანოს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს“.

42. მუხლი 74.

უკეთესი იქნება, თუ ტყის ფიზიკურ დაცვაზე პასუხისმგებელი ადამიანი აღჭურვილი იქნება უფრო სერიოზული სპეციალური საშუალებებით, ვიდრე ხელბორკილი და რეზინის ხელკეტია. თუ ბრაკონიერია უკეთესად არის შეიარაღებული, ვიდრე დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასეთი დაცვის სისტემა არაქმედითია.

43. მუხლი 76.

ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოხსენიებულია გაუქმებული კანონი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

44. თავი XIX ტყის მოვლა

ეს პრაქტიკულად გადმოტანილია ძველი ტყის კოდექსიდან და საკითხავია, რამდენად შეესაბამება თანამედროვე დასავლური მეტყევეობის მინიმალურ სტანდარტებს და მიმართებებს. საერთოდ, ეს თავი ამოსაღებია კოდექსიდან, მსგავსი საკითხები კანონქვემდებარე აქტით უნდა დარეგულირდეს.

სასურველი იქნება, თუ ახალი სატყეო კანონმდებლობა (ტყის კოდექსის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების პროექტები) შეფასებული იქნება მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) ტყეების მართვის ინიციატივის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით (“Governance of Forests Initiative Indicator Framework”). ეს მეთოდოლოგია ტყის მმართველობის ხარისხის აფასებს კარგი მმართველობის ხუთი პრინციპის მიხედვით: გამჭვირვალობა, მონაწილეობა, ანგარიშვალდებულება, კოორდინაცია, შესაძლებლობები. მეთოდოლოგიის მიხედვით მწვანე ალტერნატივას შეფასებული აქვს მოქმედი სატყეო კანონმდებლობა და სწორედ ამ შეფასების შედეგად ჩამოყალიბდა ის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც უკვე ასახულია ტყის კოდექსის პროექტში (ტყის განმარტება, კატეგორიზაცია და სხვ.)